„დამტკიცებულია“
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 28.03.2023 №02-01/03 გადაწყვეტილებით
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი

„განხილულია“
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების
ფაკულტეტის საბჭოს მიერ. ოქმი №02-03-06/01 07.03.2023 წ.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

ხელოვნების ისტორია და თეორია

კვალიფიკაცია: ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი
პროფესორი ნონა შუშანიძე

პროგრამის განხორციელების ვადა
2023 – 2030

1. პროგრამის სახელწოდება - **ხელოვნების ისტორია და თეორია**

2. განათლების საფეხური - **ბაკალავრიატი**

3. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ბაკალავრი

კვალიფიკაციის კოდი:

0213.1.5 ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)

4. პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი,

5. სწავლების ენა: ქართული ენა.

6. საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფცია და მიზანი:

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საგანმანათლებლო პროგრამა სახელოვნებო მიმართულებათა სხვადასხვა სპექტრს აერთიანებს, რომელიც, ასევე, ფართო ქრონოლოგიურ დიაპაზონს მოიცავს. პროგრამა მნიშვნელოვანია კულტურული მრავალფეროვნების უკეთ გააზრების და მასში ეროვნული კულტურული ღირებულებების, ეროვნული თვითმყოფადობის ადეკვატური გააზრების თვალსაზრისით. პროგრამა სტუდენტს საშუალებას მისცემს გააანალიზოს მსოფლიო და ეროვნული სახელოვნებო პროცესები.

პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 კრ) არჩევის შესაძლებლობა. იგი სტუდენტებს საბაკალავრო პროგრამასთან ინტეგრირებული სახით მიეწოდება და მისი არჩევის შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი. მასწავლებლის მოზადების პროგრამა პერსპექტივაში სტუდენტს საშუალებას აძლევს დაეუფლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროფესიას.

პროგრამის მიზანია:

A _ მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა ხელოვნების დარგებში და მოამზადოს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგის სპეციალისტი, რომელსაც ეცოდინება ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპების მხატვრულ-ისტორიულ კონტექსტი, ზოგადი თეორიები და პრინციპები. **კერძოდ**: სტუდენტმა შეიძინოს ცოდნა არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების დარგების ისტორიასა და თეორიაში; შეისწავლოს ქართული და მსოფლიო ხელოვნების განვითარების ეტაპებისათვის დამახასიათებელი სტილისტური ნიშან-თვისებები, ხელოვნების კონკრეტული ნიმუშები; შეისწავლოს ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპები - მხატვრულ-ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით; შეისწავლოს ხელოვნების ესთეტიკური, კულტურულ-ისტორიული, ფილოსოფიურ-თეოლოგიური, სოციალური და სხვა ასპექტები.

B _ სტუდენტმა შეძლოს ხელოვნებათმცოდნეობითი ცოდნისა და შეძენილი უნარების გამოყენება პრაქტიკაში, კერძოდ შეძლოს მხატვრული ნაწარმოების აღწერა და ანალიზი; დაეუფლოს ქართული ხელოვნების ნიმუშების კვლევის ზოგად პრინციპებსა და მეთოდოლოგიურ მიდგომებს, აითვისოს/გაიუმჯობესოს გუნდური მუშაობის წესები და ზოგადი პრიცნიპები. თანამედროვე IT ტექნოლოგიების მეშვეობით შეძლოს საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებების წარდგენა აუდიტორიის წინაშე. შეიძინოს კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნა და უნარები რათა შეძლოს სწავლის გაგრძელება აკადემიური განათლების მომდევნო საფეხურზე.

C _ კურსდამთავრებულმა კვალიფიკაციის შესაბამის სამუშაო გარემოში განახორციელოს ხელოვნებათმცოდნეობითი საქმიანობა და საკუთარი პასუხისმგებლობით წვლილი შეიტანოს

დარგის განვითარებაში. იზრუნოს საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე. დაიცვას ეთიკური ნორმები, დაიცვას ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა და შეძლოს სხვა ხალხთა კულტურის პატივისცემა.

7. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება
ხელოვნების ისტორიის და თეორიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: **A_1**. ვრცლად **აღწერს** მსოფლიო და ქართული ხელოვნების ზოგად ისტორიას, განვითარების ძირითადი ეტაპებს - მხატვრულ-ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით; ხელოვნების ესთეტიკურ, კულტურულ-ისტორიულ, ფილოსოფიურ-თეოლოგიურ, სოციალურ და სხვა ასპექტებს. **ახასიათებს** ხელოვნების ძირითად სტილებს, ზოგად თეორიებსა და პრინციპებს. **იყენებს** სახვითი საშუალებების ანალიზის მეთოდებს. **იცნობს** ხელოვნების ისტორიის ისტორიოგრაფიას და **აცნობიერებს** ხელოვნების თეორიის ფუნდამენტურ პრინციპებს, **A_2**. **აღწერს** ხელოვნების ნიმუშების კლასიფიკაციის ძირითადი მიდგომებს. **იყენებს** დარგობრივ ტერმინოლოგიას. **იცის** ხელოვნების ნიმუშის ფორმისა და შინაარსის ანალიზის ძირითადი პრინციპები. **A_3**. **იცნობს** მომიჯნავე სახელოვნებო და ჰუმანიტარული დარგების სპეციფიკას, **აცნობიერებს** მათ მნიშვნელობას მხატვრული პროცესების სხვადასხვა ასპექტით გააზრებისათვის.
უნარი
ხელოვნების ისტორიის და თეორიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: **B_1. მიმოიხილავს** არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების განვითარების ეტაპებს, მის მხატვრულ ტენდენციებს, ხელოვნების ისტორიის ძირითადი სტილებს, მხატვრული სკოლების, მიმდინარეობების მხატვრულ თავისებურებებს, საეტაპო მნიშვნელობის კონკრეტულ ხელოვანთა შემოქმედებას. **B_2.** შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით **ახდენს** ნაწარმოების ინტერპრეტაციას, შინაარსობრივ და სტილისტურ **დახასიათებას**, სახელოვნებო პროცესებში ზოგადი/საერთო და ინდივიდუალური ნიშნების გამოყოფას, მხატვრული პროცესების კრიტიკულ გააზრებას; **განიხილავს** ხელოვნების ნაწარმოებს, მხატვრულ ნიმუშს, როგორც ფორმის ანალიზის მათოდის საშუალებით, ისე ისტორიული, კულტურული, ფილოსოფიური, სოციალური და სხვ. კონტექსტუალური ასპექტებით. **B_3**. **აანალიზებს** ხელოვნების პრაქტიკული სფეროების შესწავლისა და დაცვის მნიშვნელობას ეროვნული იდენტობისა და მსოფლიო კულტურული ფასეულობების დაცვა-შენარჩუნების საქმეში. **ახდენს** საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებას კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობისა და მასზე ზრუნვა-შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ. **ასრულებს** პროფესიული საქმიანობის გუნდის ფარგლებში. **B_4. მოიძიებს** და **იყენებს** ვიზუალურ მასალებს, სამეცნიერო, ელექტრონულ, სამუზეუმო და სხვა მომიჯნავე ინტერდისციპლინური სფეროების რელევანტურ წყაროებს, დარგში აპრობირებულ სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით **შეიწავლის** არქიტექტურის/ხუროთმოძღვრებისა და ვიზუალური ხელოვნების ნიმუშებს და წინასწარ განსაღვრული მითითებების შესაბამისად **ასრულებს** პრაქტიკულ დავალებებს, **ქმნის** კვლევითი რეფერატს აკადემიური სტანდარტებისა და კეთილსინდისერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე IT ტექნოლოგიების მეშვეობით.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
C_1. დამოუკიდებლად **გეგმავს** და **წარმართავს** საკუთარ პროფესიულ საქმიანობას. **C_2**. **იცავს** პროფესიული ეთიკის პრინციპებს, პატივს სცემს საკუთარ და სხვა ხალხთა კულტურულ მრავალფეროვნებას და ეროვნულ ღირებულებებს.

8. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

პროგრამაზე დაშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობის და ა(ა)იპ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

კერძოდ: პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა წარმატებით უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები და გაიარონ რეგისტრაცია უნივერსიტეტში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე.

პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მოიპოვოს სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

9. სწავლების ფორმატი:

სწავლება წარიმართება ლექციების, სემინარების, პრეზენტაციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ფორმატით.

ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც არაუმეტეს 10 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი დამოუკიდებელი სამუშაო. სწავლება მიმდინარეობს რვა სემესტრის განმავლობაში.

საგანმანათლებლო საქმიანობის ფორმები:

- ლექცია, აქტიური ლექცია
- საველე პრაქტიკა
- სემინარი (მცირე ჯგუფებში მუშაობა)
- პრაქტიკული მუშაობა
- კონსულტაციები, ინსტრუქტაჟი
- სამუშაო შეხვედრა/სემინარი (ვორქშოფი)

სწავლება/სწავლის და კვლევის მეთოდები:

სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად მასწავლებელი პროგრამით შეთავაზებული მეთოდებიდან აკეთებს არჩევანს და მიუთითებს სილაბუსში. მეთოდების კატალოგი ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. მეთოდების ჩამონათვალი შემდეგია:

- წერითი და ზეპირი დავალებები;
- ლიტერატურის მიმოხილვა, ანალიზი;
- მცირე მოცულობის კვლევის ჩატარება;
- დაკვირვება სასწავლო პროცესზე;
- დაკვირვება პრაქტიკის პროცესზე;
- დაკვირვება დამოუკიდებელ საქმიანობაზე;
- პროფესიულ უნარებში გავარჯიშება;
- ანგარიშების შედგენა და წარდგენა ;
- ზეპირი და წერითი პრეზენტაციები;
- შეხვედრებში, სემინარებში მონაწილეობა;
- მედიის სხვადასხვა ფორმის, როგორც რესურსის გამოყენება;
- საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება;

- კონცეფციების, ცნებების, წესების და ა. შ. ზუსტი განმარტება;
- ჯგუფის ლიდერობა ან წევრობა.

დამოუკიდებელი მუშაობის ფორმები:

ბიბლიოთეკაში მუშაობა, ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რიდერით სარგებლობა, ბიბლიოგრაფიის შექმნა. კლასიკური მონოგრაფიების, უახლესი სამეცნიერო მეთოდური სტატიების გაცნობა, ზეპირი და წერითი დავალებების მომზადება, ინტერნეტ რესურსების მოძიება, პერიოდული დავალებების შესრულება.

დასაშვებია სილაბუსში სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათების მონიტორინგი და სილაბუსში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

10. პროგრამის სტრუქტურა:

- სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსები: 90 კრ. მათ შორის სასწავლო პრაქტიკა 10 კრედიტი.
- სპეციალობის მომიჯნავე არჩევითი კურსები: 30 კრ;
- საუნივერსიტეტო საგნები: 40 კრ;
- კვლევითი კომპონენტი - 10 კრ.
- არჩევითი ნაწილი: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - 60 კრ. ან საქართველოს სტორიის (60 კრ.), ან ქართული ლიტერატურის ისტორიის (60 კრ.) მაინორ პროგრამები.

11. დასაქმების შესაძლებლობები.

კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს ისეთ სფეროებში, როგორიცაა სახელოვნებო განათლება ან/და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-დაცვა, მუზეუმები, ძეგლთა დაცვის სფერო, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სამუზეუმო განათლების სფეროები, სახელოვნებო ბაზარი და მედია. შესაბამისი კომპეტენციის დადასტურებისა და მასწავლებლის კარიერულ სქემაში ჩართვის შემთხვევაში აქვს უფლება დასაქმდეს საჯარო სკოლაში სახვითი და გამოყენებით ხელოვნების მასწავლებლად.

12. სწავლის შედეგის მიღწევის მეთოდები

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსების სპეციფიკის შესაბამისად, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (learning) მეთოდი და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. ლექტორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული

სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში:

- **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**.
- **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექტორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
- **შემთხვევის ანალიზი (Casestudy)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.
- **გონებრივი იერიში (Brainstorming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

✓ პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
✓ დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
✓ გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
✓ კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
✓ შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
✓ უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

- **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსი
- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი**.

სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან

განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

- ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: კონსპექტის, თეზისის შედგენას, დაკონსპექტებას, ტესტების, რეფერატის, პრეზენტაციის ან ესეს შესრულებას და ა.შ.

13. სტუდენტის შეფასების სისტემა

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

1. სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობით: სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობით, რეფერატების, პრეზენტაციების, შუალედური შეფასებების, დასკვნითი/ფინალური გამოცდების და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვა შედეგების საფუძველზე.
2. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ამავე სასწავლო კურსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, რაც იყოფა ორ ნაწილად და გულისხმობს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.
3. სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებები შედგება შეფასების კომპონენტებისაგან, რომლებიც აერთიანებს ზეპირი ან/და წერითი სახის გამოკითხვებს, გამოცდებს, პრაქტიკულ და თეორიულ სამუშაოებს. სტუდენტის შეფასება ხდება შეფასების რამდენიმე კომპონენტის გამოყენებით, რომლებიც დეტალურად გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
4. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას – 20 ქულა. შუალედური გამოცდის რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსის მოთხოვნების გათვალისწინებით. მიმდინარე შეფასებებს – 40 ქულა. მიმდინარე შეფასებები შეიძლება განხორციელდეს წერითი ან/და ზეპირი ფორმით, გარდა წერითი და ზეპირი შეფასებისა, კურსის საჭიროების შესაბამისად, შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების სხვა მეთოდი.
5. შეფასების ცალკეული კომპონენტის შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება ცალკეული სასწავლო კურსის – საგნის სილაბუსით, სადაც დაცული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები:
   ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერითი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;
   ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით.

6. ზოგადი საუნივერსიტეტო მოთხოვნის შესაბამისად, შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულაა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ზრდა დასაშვებია ცალკეულ სასწავლო კურსში, წინასწარი შეთანხმების გზით.
7. სტუდენტის მუშაობა ფასდება შემდეგი სქემით:

<u>დადებითი შეფასებები</u>:

ა) A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა;
ბ) B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
გ) C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
დ) D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა;
ე) E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

<u>უარყოფითი შეფასებები</u>:

ვ) FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ზ) F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.

9. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
10. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
11. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0–50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - რეფერატი არის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სხვა სასწავლო კურსების ტოლფასი არჩევითი კვლევითი კომპონენტი. იგი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: საკვლევი საკითხის აქტუალობა - 15 ქულა; ლოგიკა და არგუმენტირებული მსჯელობა – 30 ქულა; დისკუსიაში ჩართვა (კითხვებზე პასუხის გაცემა) – 15 ქულა; ნაშრომის არქიტექტონიკა – 20 ქულა; ნაშრომის ტექნიკური გაფორმება - 5 ქულა; ნაშრომის ენობრივი გამართულობა - 5 ქულა; ნაშრომის ენობრივი გამართულობა - 5 ქულა; საპრეზენტაციო მასალის გამოყენება – 5 ქულა.

ნაშრომის გაფორმების, წარდგენისა და შეფასების პროცედურები განსაზღვრულია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

14. სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა																
#	კომპონენტები	კრედიტებისრაოდენობა	საკონტაქტო საათების რაოდენობა	საათების განაწილება					კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით							
				ლექცია	ჯგუფში მუშაობა	ჯგუფურად გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი სამუშაო	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი
	სპეციალობის ძირითადი საგნები	**90**														
1.	შესავალი ხელოვნებათ-მცოდნეობაში	5	45	29	13	1	2	80	5							
2	ძველი ქართული ხელოვ-ნების ისტორია უძველესი ხანიდან XII ს.მდე	5	45	29	13	1	2	80	5							
3	ქართული ხელოვნების ისტორია XII-XVII სს.ში	5	45	29	13	1	2	80		5						
4	ქრისტიანული კულტურის კერები საქართველოში	5	48	30	15	1	2	77			5					
5	ახალი ქართული ხელოვ-ნება (ზოგადი კურსი)	5	45	28	13	1	2	80				5				
6	ძველი ქართული ხუროთმოძღვრება(უძველ ესი ხანიდან - XVIII საუკუნემდე)	5	48	30	15	1	2	77					5			
7	შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული სახვითი ხელოვნება	5	45	29	13	1	2	80						5		
8	ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება	5	48	30	14	1	3	77		5						
9	ანტიკური ხელოვნება	5	48	30	14	1	3	77			5					
10	შუა საუკუნეების დას. ევროპის ხელოვნება	5	48	30	14	1	3	77				5				
11	აღორძინების ეპოქის დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელოვნება	5	48	30	14	1	3	77						5		
12	მე-17-18 სს-ის დას. ევროპის ხელოვნება	5	48	30	14	1	3	77							5	
13	ხელოვნების ნაწარმოებთა აღწერა და ანალიზი	5	45	29	13	1	2	80				5				
14	მე-19-20 სს-ის ქართული არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება	5	48	30	15	1	2	77							5	
15	მე-19-20 სს-ისხელოვნება (დას. ევროპა, ამერიკა)	5	48	30	14	1	3	77								5
16	ხატვა და სახვითი ხელოვნების ტექნიკა	5	45	15	27	3	5	80		5						
17	მედია და კულტურა	5	45	27	15	1	2	80			5					
18	მუზეუოლოგია	5	48	29	12	1	3	72					5			
19	კვლევითი კომპონენტი-	10	250													10

	რეფერატის შესრულება															
20	სასწავლო პრაქტიკა	10	250											5	5	
	მომიჯნავე დისციპლინების არჩევითი საგნები	**20**							**5**	**5**	**5**	**5**				
21	ქართული კინოს ისტორია (ზოგადი კურსი)	5	48	30	14	1	3	72								
22	ქართული თეატრის ისტო-რია (ზოგადი კურსი)	5	48	30	14	1	2	72								
23	საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია	5	50	32	14	2	2	75								
24	ქართული პალეოგრაფია	5	45	26	13	2	4	80								
25	ძველი ბერძნული ენა	5	45	14	28	1	2	80								
26	მჭერმეტყველება	5	48	29	15	1	3	77								
27	შესავალი ფერწერაში	5	48	15	27	3	5	72								
28	კულტურული ანთროპოლოგია	5	45	29	13	1	2	80								
	საუნივერსიტეტო დისციპლინები	**50**														
29	ფსიქოლოგიის საფუძვლები	5	30	14	13	1	2	95				5				
30	ფილოსოფიის შესავალი	5	45	27	15	1	2	80					5			
31	ქართული ლიტერატურის ისტორია (ზოგადი კურსი)	5	50	15	26	4	5	75			5					
32	საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)	5	50	30	12	1	2	80		5						
33	აკადემიური წერა	5	48	23	20	2	3	77	5							
34	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5	45	15	25	2	3	80	5							
	ინგლისური ენა	20														
	ინგლისური ენა B-1	5	45	-	40	2	3	80	5							
	ინგლისური ენა B 1-2	5	45	-	40	2	3	80		5						
	ინგლისური ენა B 2-1	5	45	-	40	2	3	80			5					
	ინგლისური ენა B 2-2	5	45		40	2	3	80				5				
35	**დამატებითი სპეციალობა**	**60**											15	15	15	15
	სულ	**240**							30	30	30	30	30	30	30	30

1. ნულოვანი დონის სტუდენტები ენის შესწავლას იწყებენ A-1 საფეხურით და აგრძელებენ A-2 დონით თანმიმდევრულად.
2. საბაზო დონის მქონე სტუდენტები ენის შესწავლას იწყებენ A-2 დონით და აგრძელებენ B-1 დონეს თანმიმდევრულად.

14. სწავლის შედეგების რუქა

სწავლის შედეგების რუქა					
#	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	დარგობრივი კომპეტენციები		
			ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
	ძირითადი სპეციალობის საგნები				
1	შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში	5	✓	✓	✓
2	ძველი ქართული ხელოვნების ისტორია უძველესი ხანიდან XII ს.მდე	5	✓	✓	
3	ქართული ხელოვნების ისტორია XII-XVII სს.ში	5	✓	✓	
4	ქრისტიანული კულტურის კერები საქართველოში	5	✓	✓	✓
5	ახალი ქართული ხელოვნება (ზოგადი კურსი)	5	✓	✓	✓
6	ძველი ქართული ხუროთმოძღვრება (უძველისიდან მე-19 ს-მდე)	5	✓	✓	
7	შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული სახვითი ხელოვნება	5	✓	✓	✓
8	ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება	5	✓	✓	
9	ანტიკური ხელოვნება	5	✓	✓	
10	შუა საუკუნეების დას. ევროპის ხელოვნება	5	✓	✓	
11	აღორძინების ეპოქის დასავლეთ ევროპის ხელოვნება	5	✓	✓	
12	მ-17-18 სს-ის დას. ევროპის ხელოვნება	5	✓	✓	
13	ხელოვნების ნაწარმოებთა აღწერა და ანალიზი	5	✓	✓	✓
14	მე-19-20 სს-ის ქართული არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება	5	✓	✓	
15	მე-19-20 სს-ის ხელოვნება (დას. ევროპა და ამერიკა)	5	✓	✓	
16	ხატვა და სახვითი ხელოვნების ტექნიკა	5	✓	✓	
17	მედია და კულტურა	5	✓	✓	✓
18	მუზეუმოლოგია	5	✓	✓	
19	კვლევითი კომპონენტი-რეფერატის შესრულება	10	✓	✓	✓
20	სასწავლო პრაქტიკა	10	✓	✓	✓
	მომიჯნავე არჩევითი დისციპლინები	**20**			
21	ქართული კინოს ისტორია (ზოგადი კურსი)	5	✓	✓	✓
22	ქართული თეატრის ისტორია (ზოგადი კურსი)	5	✓	✓	✓
23	საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია	5	✓	✓	✓
24	პალეოგრაფია	5	✓	✓	✓
25	ძველი ბერძნული ენა	5	✓	✓	✓
26	მჭერმეტყველება	5	✓	✓	✓
27	შესავალი ფერწერაში	5	✓	✓	
28	კულტურული ანთროპოლოგია	5	✓	✓	✓
	საუნივერსიტეტო დისციპლინები	**50**			
29	ფსიქოლოგიის საფუძვლები	5	✓	✓	✓
30	ფილოსოფიის შესავალი	5	✓	✓	✓
31	ქართული ლიტერატურის ისტორია (ზოგადი კურსი)	5	✓	✓	✓
32	საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)	5	✓	✓	✓
33	აკადემიური წერა	5	✓	✓	✓
34	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5	✓	✓	✓
35	**ინგლისური ენა**	**20**	✓	✓	✓

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა

პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები								
	ცოდნა და გაცნობიერება			უნარი				პასუხის-მგებლობა და ავტონომიურობა	
A. მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა ხელოვნების დარგებში და მოამზადოს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგის სპეციალისტი, რომელსაც ეცოდინება ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპების მხატვრულ-ისტორიულ კონტექსტი, ზოგადი თეორიები და პრინციპები. კერძოდ: სტუდენტმა შეიძინოს ცოდნა არქიტექტურისა და ვიზუალური ხელოვნების დარგების ისტორიასა და თეორიაში; შეისწავლოს ქართული და მსოფლიო ხელოვნების განვითარების ეტაპებისათვის დამახასიათებელი სტილისტური ნიშან-თვისებები, ხელოვნების კონკრეტული ნიმუშები; შეისწავლოს ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპები - მხატვრულ-ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით; შეისწავლოს ხელოვნების ესთეტიკური, კულტურულ-ისტორიული, ფილოსოფიურ-თეოლოგიური, სოციალური და სხვა ასპექტები.	A_1								
		A_2							
			A_3						
B. სტუდენტმა შეძლოს ხელოვნებათმცოდნეობითი ცოდნისა და შეძენილი უნარების გამოყენება პრაქტიკაში, კერძოდ შეძლოს მხატვრული ნაწარმოების აღწერა და ანალიზი; დაეუფლოს ქართული ხელოვნების ნიმუშების კვლევის ზოგად პრინციპებსა და მეთოდოლოგიურ მიდგომებს, აითვისოს/გაიუმჯობესოს გუნდური მუშაობის წესები და ზოგადი პრიცნიპები. თანამედროვე IT ტექნოლოგიების მეშვეობით შეძლოს საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებების წარდგენა აუდიტორიის წინაშე. შეიძინოს კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნა და უნარები რათა შეძლოს სწავლის გაგრძელება აკადემიური განათლების მომდევნო საფეხურზე.				B_1					
					B_2				
						B_3			
							B_4		
C. კურსდამთავრებულმა კვალიფიკაციის შესაბამის სამუშაო გარემოში განახორციელოს ხელოვნებათმცოდნეობითი საქმიანობა და საკუთარი პასუხისმგებლობით წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში. იზრუნოს საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე. დაიცვას ეთიკური ნორმები, დაიცვას ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა და შეძლოს სხვა ხალხთა კულტურის პატივისცემა.								C_1	
									C_2

პროგრამის ადამიანური რესურსი:

1. **მარიამ დიდებულიძე** პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი - საგნები: შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული სახვითი ხელოვნება: ხელოვნების ნაწარმოებთა აღწერა და ნალიზი. **კვლევითი რეფერატის ხელმძღვანელი**
2. **მარინე ყენია** პროფესორი,ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი - საგნები: შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში; ქრისტიანული კულტურის კერები საქართველოში. **კვლევითი რეფერატის ხელმძღვანელი**
3. **ნატალია ხაბაზი** - ხელოვნებათმცოდნე, დოქტორანტი, ასისტენტ პროფესორი. საგნები: ძველი ქართუ-ლი ხელოვნების ისტორია (ნაწილი პირველი); ძველი ქართული ხელოვნების ისტორია (ნაწილი მეორე); ახალი ქართული ხელოვნება (ზოგადი კურსი);
4. **ნონა შუშანიძე** პროფესორი, ხელოვნების ისტორიის და თეორიის აკადემიური დოქტორი. საგანი- ძველი ქართული ხუროთმოძღვრება; სასწავლო პრაქტიკა; **კვლევითი რეფერატის ხელმძღვანელი**
5. **მანანა კაშია** - ასისტენტი, ხელოვნებათმცოდნე. საგნები: ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება; ანტიკური ხელოვნება; აღორძინების ეპოქის ხელოვნება; მსოფლიო ხელოვნების ისტორია; მე-17-18 სს-ის დასავლეთ ევროპის ხელოვნება; მე-19-20 სს-ის დას. ევროპის ხელოვნება.
6. **დონარი დუმბაძე** - ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი. მოწვეული ლექტორი. ქართული კინოს ისტორია; ქართული თეატრის ისტორია
7. **ქეთევან ხალვაში** - ხელოვნებამცოდნეობის მაგისტრი. მოწვეული ლექტორი. საგანები; მე-19-20 სს-ის ქართული არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება.
8. **მაია ჭყონია** - მხატვარი. მოწვეული ლექტორი. საგანები: ხატვა და სახვითი ხელოვნების ტექნიკა; შესავალი ფერწერაში.
9. **ოლეგი ჯიბაშვილი** - ისტორიის აკადემიური დოქტორი. მოწვეული ლექტორი. ასოცირებული პროფესორი. საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი).
10. **თემურ ტუნაძე** - ისტორიის აკადემიური დოქტორი. მოწვეული ლექტორი . საგანი- მუზეოლოგია
11. **ნაილა ჩელებაძე** - ისტორიის დოქტორი. მოწვეული ლექტორი. საგანი- კულტურული ანთროპოლოგია.
12. **თალიკო ბერიძე** - ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ლექტორი. საგანი- პალეოგრაფია;აკადემიური წერა
13. **ნინო ძნელაძე** - ისტორიის აკადემიური დოქტორი. მოწვეული ლექტორი. საგანი - ძველი ბერძნული ენა.
14. **მადონა კეჟერაძე** - ფილოლოგიის დოქტორი. მოწვეული ლექტორი. საგანი- ქართული ლიტერატურისისტორია(ზოგადი კურსი).
15. **ნათელა ბერიძე** - ფილოსოფიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი. საგანი - ფილოსოფია; მედია და კულტურა.
16. **ივერ მუკუტაძე** –მოწვეული ლექტორი - საგანი - საოფისე კომპიუტერული პროგრამები.
17. **თამილა დავითაძე** -ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ლექტორი. საგანი - საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია.
18. **მედეა რიჟვაძე** - პროფესორი, მოწვეული ლექტორი. საგანი - ძველი ქართული დამწერლობა.
19. **თამილა ჩურკვეიძე** - მოწვეული ლექტორი. საგან- ინგლისური ენა

მატერიალური რესურსები

პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აუდიტორიებში ლექციებისა და პრაქტიკულ-სემინარული სამუშაოების ჩატარებას, უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.

ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამას გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული კურსების შესწავლისათვის საჭირო ლიტერატურა, აგრეთვე ლიტერატურა მონათესავე დისციპლინებში.

არსებობს ელექტრონული სახელმძღვანელოების ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის. არსებობს სამეცნიერო ჟურნალების, სპეციალობის შესაბამისად სხვადასხვა ჟურნალების, ცალკეული სამეცნიერო სტატიის კოლექცია. არსებობს კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტი შესაბამისი ინვენტარით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ემსახურება მომხმარებელს. გარდა ამისა, სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ისარგებლონ

ლექტორის მიერ შედგენილი მოკლე სალექციო კურსებით როგორც ელექტრონული, ისე ქსერო-ასლების ვერსიებით, რომელთა გავრცელებასაც უზრუნველყოფს თვით უნივერსიტეტი. სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ უნივერსიტეტის ლექტორების პირადი ბიბლიოთეკებით.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნების ისტორია და თეორია“

წინაპირობათა ცხრილი

№	საგნის დასახელება	დაშვების წინაპირობა
1	შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში	არ აქვს
2	ძველი ქართული ხელოვნების ისტორია უძველესი ხანიდან XII ს. მდე	არ აქვს
3	ქართული ხელოვნების ისტორია XII - XVII სს.ში	ძველი ქართული ხელოვნების ისტორია უძველესი ხანიდან XII ს. მდე
4	ქრისტიანული კულტურის კერები საქართველოში	საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსი
5	ახალი ქართული ხელოვნება (ზოგადი კურსი)	ქართული ხელოვნების ისტორია (პირველი და მეორე ნაწილი)
6	ძველი ქართული ხუროთმოძღვრება (უძველესი ხანიდან - XVIII საუკუნემდე)	ძველი ქართული ხელოვნების ისტორია (ნაწილი პირველი)
7	შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების აღწერა და ანალიზი	ძველი ქართული ხელოვნების ისტორია (ნაწილი პირველი, ნაწილი მეორე)
8	ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება	არ აქვს
9	ანტიკური ხელოვნება	არ აქვს
10	შუა საუკუნეების დას. ევროპის ხელოვნება	არ აქვს
11	აღორძინების ეპოქის დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელოვნება	არ აქვს
12	მე-17-18 სს-ის დას. ევროპის ხელოვნება	არ აქვს
13	ხელოვნების ნაწარმოებთა ინტერპრეტაცია და ანალიზი	არ აქვს
14	მე-19-20 სს-ის ქართული არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება	არ აქვს
15.	მე-19-20 სს-ისხელოვნება(დას. ევროპა, ამერიკა)	არ აქვს
16.	ხატვა და სახვითი ხელოვნების ტექნიკა	არ აქვს
17	მედია და კულტურა	არ აქვს
18	მუზეუმოლოგია	არ აქვს
19	კვლევითი კომპონენტი- რეფერატის შესრულება	სასწავლო პრაქტიკა
20	სასწავლო პრაქტიკა	ძველი ქართული ხელოვნების ისტორია (ნაწილი პირველი)
არჩევითი საგნები		
21	ქართული კინოს ისტორია (ზოგადი კურსი)	არ აქვს
22	ქართული თეატრის ისტორია (ზოგადი კურსი)	არ აქვს
23	საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია	არ აქვს

24	ქართული პალეოგრაფია	არ ავს
25	ძველი ბერძნული ენა	არ აქვს
26	მჭერმეტყველება	არ აქვს
27	შესავალი ფერწერაში	ხატვა და სახვითი ხელოვნების ტექნიკა
28	კულტურული ანთროპოლოგია	არ აქვს
საუნივერსიტეტო საგნები		
29	ფსიქოლოგიის საფუძვლები	არ აქვს
30	ფილოსოფიის შესავალი	არ აქვს
31	ქართული ლიტერატურის ისტორია (ზოგადი კურსი)	არ აქვს
32	საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)	არ აქვს
33	აკადემიური წერა	არ აქვს
34	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	არ აქვს
35	ინგლისური ენა B 1-1	A2 დონე,
36	ინგლისური ენა B 1-2	ინგლისური ენა B 1-1
37	ინგლისური ენა B 2-1	ინგლისური ენა B 1-2
38	ინგლისური ენა B 2-2	ინგლისური ენა B 2-1

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საგანმანათლებლო პროგრამის

სწავლის შედეგების თანხვედრა სასწავლო კურსებთან
და
მათი სემესტრული განაწილება

(ცხრილში სასწავლო კურსების შესატყვისი ნომრებია მითითებული)

N	პროგრამის სწავლის შედეგები	სემესტრი							
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1	შედეგი A 1	1,2	8	9	10,13		20	12	15, 19
2	შედეგი A 2	2	3	4		6	7		
3	შედეგი A 3	1	16		5,13		7, 11	14	
4	შედეგი B 1	1, 33	3, 16	4	5	18	14	12, 14	15
5	შედეგი B 2			4		6	20	20	
6	შედეგიB 3		8			6	7		
7	შედეგი B 4	33, 34, 35		17	5, 6, 29				19
8	შედეგი C 1	34,35	31,35	10	4, 35	13,35			
9	შედეგი C 2	33	31		13	30			

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის
პროგრამისა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების
ურთიერთკავშირი დონეების მითითებით

(**1**=გაცნობა, **2**=გაღრმავება, **3**=განმტკიცება)

სასწავლო კურსი	A1	A2	A3	B1	B2	B3	B4	C1	C2
1.შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში		1			2				
2. ძველი ქართული ხელოვნების ისტორია უძველესი ხანიდან XII ს. მდე	1.			1,2					
3. ქართული ხელოვნების ისტორია XII - XVII სს.ში							1,2		
4. ქრისტიანული კულტურის კერები საქართველოში					2			3	
5. ახალი ქართული ხელოვნება (ზოგადი კურსი)			1, 2						
6. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება (უძველესი ხანიდან - XVIII საუკუნემდე)						1,2			
7. შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება		1,2					1,2		
8. ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება							1,2,3		
9.ანტიკური ხელოვნება	1,2								
10. შუა საუკუნეების დას. ევროპის					1,2				

ხელოვნება									
11. აღორძინების ეპოქის დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელოვნება									1,2,3
12. მე-17-18 სს-ის დას. ევროპის ხელოვნება		1,2,3							
13. ხელოვნების ნაწარმოებთა ინტერპრეტაცია და ანალიზი	1,2								
14. მე-19-20 სს-ის ქართული არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება			1,2						
15. მე-19-20 სს-ის ხელოვნება (დას. ევროპა, ამერიკა)						1,2			
16. ხატვა და სახვითი ხელოვნების ტექნიკა					1,2				
17. მედია და კულტურა	1								
18.მუზეუმოლოგია	1								
19. კვლევითი კომპონენტი-რეფერატის შესრულება	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.	3.
20. სასწავლო პრაქტიკა					1,2,3				1,2,3
21. ქართული კინოს ისტორია (ზოგადი კურსი)	1,2								
22. ქართული თეატრის ისტორია (ზოგადი კურსი)	1,2								
23. საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია	1,2								
24. ქართული პალეოგრაფია			2,3			3			
25. ძველი ბერძნული ენა	1							2,3	
26. მჭერმეტყველება	1,2				3				
27. შესავალი ფერწერაში	1,2			1,2,3					
28. კულტურული ანთროპოლოგია		2							
29. ფსიქოლოგიის საფუძვლები	1								
30. ფილოსოფიის შესავალი	1								
31. ქართული ლიტერატურის ისტორია (ზოგადი კურსი)		1,2				2			
32. საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)	1,2								
33. აკადემიური წერა		1			2				
34. საოფისე კომპიუტერული პროგრამები	1								
35 ინგლისური ენა			1,2			2			

სწავლის შედეგების მიღწეული დონის შეფასების მექანიზმი

ა) პირდაპირი მტკიცებულება: ტესტები, სიტუაციათა გარჩევები, ქვიზები, კვლევითი შედეგების აღწერა, პრეზენტაციები, პროექტები, პედაგოგიური ესე, ზეპირი თხრობა, სასკოლო პრაქტიკის პორტფოლიოები და სხვა.
მონიტორინგი: განხორციელდება პერიოდულად.

ბ) არაპირდაპირი მტკიცებულებები: დასაქმების მაჩვენებელი, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუები
მონიტორინგი სწავლის ბოლოს.

გ) ერთი და იმავე შედეგის სხვადასხვა კურსში მიღწეული შედეგის გაზომვა შემდეგი პროცედურებით: წინარე სასწავლო კურსის მასწავლებელი აღწერს რა დონით არის შედეგი მიღწეული და განათავსებს კომპიუტერში. მომდევნო კურსის მასწავლებელი გაეცნობა და ითვალისწინებს შედეგის განვითარების დონეს ან სასწავლო კურსის დასაწყისში სტუდენტი თვითშეფასებით გააკეთებს ანალიზს, დაწერს რა დონეზე მიაღწია შედეგს და რისი განვითარება დაჭირდება.

დ) სწავლის შედეგის შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, შემდეგი მიმართულებით:

- ცვლილება კურსის შინაარსის მოთხოვნებში, სტრუქტურებსა და წინაპირობებში.
- ცვლილებები სწავლის შედეგების მახასიათებლებში ინდიკატორებში.
- ცვლილებები შედეგების შეფასების ფორმებსა და მეთოდებში.
- ცვლილებები რესურსებში.

ე) შეფასების კულტურა

- შეფასების ESTS სისტემა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- წახალისება იმ მასწავლებლების, რომელთაც სწავლის შედეგების მიღწევაში აქვთ წარმატება
- საქმიანი შეხვედრებისა და ტრენინგების ორგანიზება შეფასების ფორმებსა და მეთოდებთან დაკავშირებით.

შეფასების გეგმა და შეფასების რუბრიკები

სწავლის შედეგი A_1.

იცის ხელოვნების ისტორიის პერიოდიზაცია, მნიშვნელოვანი ეტაპები და მხატვრული თავისებურებები. შესაბამისი ისტორიული ეპოქის მიხედვით განიხილავს ქართული და მსოფლიო ხელოვნების მნიშვნელოვან საგანძურს და აცნობიერებს მის მნიშვნელობას თანამედროვე ეპოქაში.

შეფასების ინდიკატორები:

1. შეუძლია ხელოვნების ისტორიის პერიოდიზაციის მნიშვნელოვანი ეტაპების თავისებურებების განსაზღვრა
2. იცის ქართული და მსოფლიო ხელოვნების მნიშვნელოვანი საგანძურის მნიშვნელობა
3. იცის ხელოვნების ნიმუშების განხილვა ისტორიული ეპოქის შესაბამისად

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. A_1 სილაბუსი:1,2,8,9,10,12,,13,15,19,20	პირდაპირი - კითხვა-პასუხის ფორმატი, პრეზენტაცია, წერითი დავალება, ქეისის ამოხსნა, როლური და სიტუაციური თამაშები, ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დისკუსია/დებატი,	1,2-პირველი სემესტრის ბოლო სესია; 8-მეორე სემესტრის ბოლო სესია; 9-მესამე სემესტრის ბოლო სესია; 10.13-მეოთხე სემესტრის ბოლო სესია; 20-მეექვსე სემესტრის ბოლო სესია; 12-მეშვიდე სემესტრის ბოლო სესია; 15,19- მერვე სემესტრის ბოლო სესია;	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი;	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფილებს	მეტწილად აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად ვერ აკმაყოფილებს
შეუძლია ხელოვნების ისტორიის პერიოდიზაციის მნიშვნელოვანი ეტაპების თავისებურებების განსაზღვრა					
იცის ქართული და მსოფლიო ხელოვნების მნიშვნელოვანი საგანძურის მნიშვნელობა იცის ხელოვნების ნიმუშების განხილვა ისტორიული ეპოქის					

სწავლის შედეგი A_2.

აცნობიერებს ძველი ქართული ხუროთმოძღრების, კედლის მხატვრობის, მინანქრის, მინიატურის, ჭედური ხელოვნების ნიმუშების თავისებურებებს, იაზრებს მხატვრული სტილის სპეციფიკას.

შეფასების ინდიკატორები:

1. იცის ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშების თავისებურებები
2. შეუძლია ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშების სპეციფიკის გააზრება

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. A_2 სილაბუსი:2,3,4,6,7	პირდაპირი გამოცდა, ტესტი, პროექტი, პირდაპირი - კითხვა-პასუხის ფორმატი, პრეზენტაცია, წერითი დავალება, ქეისის ამოხსნა, როლური და სიტუაციური თამაშები, ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დისკუსია/დებატი	2-პრველი სემესტრის ბოლო სესია; 3-მეორე სემესტრის ბოლო სესია; 4-მესამე სემესტრის ბოლო სესია; 6-მეხუთე სემესტრის ბოლო სესია; 7- მეექვსე სემესტრის ბოლო სესია;	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფილებს	მეტწილად აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად ვერ აკმაყოფილებს
იცის ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშების თავისებურებები					
შეუძლია ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშების სპეციფიკის გააზრება					

სწავლის შედეგი A_3.

აქვს ცოდნა ფერწერის ტექნიკის შესახებ, ჟანრებისა და დარგების შესაბამისად არკვევს ხელოვნების ნიმუშების თარიღს და მათ ეპოქალურ კუთვნილებას განსაზღვრავს.

შეფასების ინდიკატორები:

1. აღწერს და ახასიათებს ფერწერის ტექნიკასთან დაკავშირებულ დეტალებს
2. ჟანრების და დარგების შესაბამისად შეუძლია ხელოვნების ნიმუშის დათარიღება
3. განსაზღვრავს ხელოვნების ნიმუშის ეპოქალურ კუთვნილებას

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. A_3 სილაბუსი: 1,5,7,11,13,14,16	პირდაპირი- კითხვა-პასუხის ფორმატი, პრეზენტაცია, წერითი დავალება, ქეისის ამოხსნა, როლური და სიტუაციური თამაშები, ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დისკუსია/დებატი,	1-პირველი სემესტრის ბოლო სესია; 16-მეორე სემესტრის ბოლო სესია; 5,13- მეოთხე სემესტრის ბოლო სესია; 7,11-მეექვსე სემესტრის ბოლო სესია; 14- მეშვიდე სემესტრის ბოლო სესია;	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი; კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფილებს	მეტწილად აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად ვერ აკმაყოფილებს
აღწერს და ახასიათებს ფერწერის ტექნიკასთან დაკავშირებულ დეტალებს					
ჟანრების და დარგების შესაბამისად შეუძლია ხელოვნების ნიმუშის დათარიღება					
განსაზღვრავს ხელოვნების ნიმუშის ეპოქალურ კუთვნილებას					

სწავლის შედეგი B_1.

ხელოვნებათმცოდნეობითი ცნებებით ოპერირება, ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება .

შეფასების ინდიკატორები:

1. იცის ხელოვნებათმცოდნეობითი ცნებებით ოპერირება
2. იცნობს ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდებს
3. შეუძლია ხელოვნებათმცოდნეობითი ლიტერატურისა და წყაროების გამოყენება

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. B_1 სილაბუსი: 1,3,4,5,16,18,33	პირდაპირი - კითხვა-პასუხის ფორმატი, პრეზენტაცია, წერითი დავალება, ქეისის ამოხსნა, როლური და სიტუაციური თამაშები, ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დისკუსია/დებატი,	1,33- პირველი სემესტრის ბოლო სესია; 3,16- მეორე სემესტრის ბოლო სესია; 4-მესამე სემესტრის ბოლო სესია; 5- მეოთხე სემესტრის ბოლო სესია; 18- მეხუთე სემესტრის ბოლო სესია; 12,14- მეშვიდე სემესტრის ბოლო სესია; 15- მერვე სემესტრის ბოლო სესია;	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი; დამსაქმებლების კითხვარი.	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფილებს	მეტწილად აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად ვერ აკმაყოფილებს
იცის ხელოვნებათმცოდნეობითი ცნებებით ოპერირება					
იცნობს ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდებს					
შეუძლია ხელოვნებათმცოდნეობითი ლიტერატურისა და წყაროების გამოყენება					

სწავლის შედეგი B_2.

გააჩნია ვიზუალური ხელოვნების ისტორიის საშუალებით ხელოვნებათმცოდნეობითი მეთოდებით პრაქტიკული პროექტების განხორციელების უნარი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. შეუძლია მცირე მასშტაბის კვლევითი პროექტის დაგეგმვა-განხორციელება,

შეფასების ინდიკატორები:

1. შეუძლია ხელოვნებათმცოდნეობითი მეთოდებით პრაქტიკული პროექტების განხორციელება
2. იცის მცირე მასშტაბის კვლევითი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. B_2 სილაბუსი: 4,6,20	პირდაპირი - კითხვა-პასუხის ფორმატი, პრეზენტაცია, წერითი დავალება, ქეისის ამოხსნა, როლური და სიტუაციური თამაშები, ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დისკუსია/დებატი,	4- მესამე-სემესტრის ბოლო სესია; 6-მეხუთე სემესტრის ბოლო სესია; 20-მეექვსე სემესტრის ბოლო სესია;	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი; კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფილებს	მეტწილად აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად ვერ აკმაყოფილებს
შეუძლია ხელოვნებათმცოდნეობითი მეთოდებით პრაქტიკული პროექტების განხორციელება					
იცის მცირე მასშტაბის კვლევითი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება					

სწავლის შედეგი B_3.

შეუძლია ხელოვნების ისტორიის კონკრეტული ეპოქის პრობლემის გამოკვეთა და მისი შეფასება. აქვს ქართული და მსოფლიო ხელოვნების ისტორიის შესახებ მასალების შეგროვების, დასაბუთებული განმარტების უნარი.

შეფასების ინდიკატორები:

1. იცის პრობლემის იდენტიფიცირება ხელოვნების ისტორიის კონკრეტული ეპოქის სახასიათო ნიშნების გათვალისწინებით
2. იცის ქართული და მსოფლიო ხელოვნების ისტორიის შესახებ სხვადასხვა ტიპის მასალების შეგროვება
3. აქვს დასაბუთებული განმარტებების უნარი

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. B_3 სილაბუსი: 6,7,8	პირდაპირი - კითხვა-პასუხის ფორმატი, პრეზენტაცია, წერითი დავალება, ქეისის ამოხსნა, როლური და სიტუაციური თამაშები, ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დისკუსია/დებატი,	8- მეორე სემესტრის ბოლო სესია; 6-მეხუთე სემესტრის ბოლო სესია; 7- მეექვსე სემესტრის ბოლო სესია;	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი;	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფილებს	მეტწილად აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად ვერ აკმაყოფილებს
იცის პრობლემის იდენტიფიცირება ხელოვნების ისტორიის კონკრეტული ეპოქის სახასიათო ნიშნების გათვალისწინებით					
იცის ქართული და მსოფლიო ხელოვნების ისტორიის შესახებ სხვადასხვა ტიპის მასალების შეგროვება					
აქვს დასაბუთებული განმარტებების უნარი					

სწავლის შედეგი B_4.

შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზება. აქვს ხელოვნების ისტორიის პრობლემათა გააზრების, ახალი ცოდნის მიღების უნარი. შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურის საფეხურზე. დამოუკიდებლად შეუძლია სასწავლო მიზნით დროის დაგეგმვა და ორგანიზება ბაკალავრიატში სწავლისას გამოკვეთილი ინტერესების შესაბამისად.

შეფასების ინდიკატორები:

1. იცის ხელოვნების ისტორიის პრობლემათა გააზრება და შეუძლია ახალი ცოდნის მარტივად მიღება
2. შეუძლია დამოუკიდებლად დროის დაგეგმვა და ორგანიზება
3. შეუძლია სწავლა გააგრძელოს ბაკალავრიატში სწავლისას გამოკვეთილი ინტერესების შესაბამისად

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. B-4 სილაბუსი: 5,4,17,29,33,34,35	პირდაპირი - კითხვა-პასუხის ფორმატი, პრეზენტაცია, წერითი დავალება, ქეისის ამოხსნა, როლური და სიტუაციური თამაშები, ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დისკუსია/დებატი	33,34,35 - პირველი სემესტრის ბოლო სესია; 17- მესამე სემესტრის ბოლო სესია; 5,4,29- მეოთხე სემესტრის ბოლო სესია;	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი; დამსაქმებლების კითხვარი.	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფილებს	მეტწილად აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად ვერ აკმაყოფილებს
იცის ხელოვნების ისტორიის პრობლემათა გააზრება და შეუძლია ახალი ცოდნის მარტივად მიღება					
შეუძლია დამოუკიდებლად დროის დაგეგმვა და ორგანიზება					
შეუძლია სწავლა გააგრძელოს ბაკალავრიატში სწავლისას გამოკვეთილი ინტერესების შესაბამისად					

სწავლის შედეგი C_1.

იცის პროფესიული ეთიკის ნორმები

შეფასების ინდიკატორები:

1. აქვს ცოდნა ხელოვნებათმცოდნის ეთიკურ სტანდარტებზე
2. აცნობიერებს ეთიკური და ზნეობრივი ნორმებით დადგენილი მოთხოვნების გამოყენების აუცილებლობას
3. აქვს უნარი გააცნობიეროს სოციალური და დემოკრატიული ფასეულობები

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. C_1 სილაბუსი: 4,31,34,35	პირდაპირი -გამოცდა, ტესტი, პროექტი, კითხვა-პასუხის ფორმატი, პრეზენტაცია, წერითი დავალება, ქეისის ამოხსნა, როლური და სიტუაციური თამაშები, ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დისკუსია/დებატი,	34,35-პირველი სემესტრის ბოლო სესია; 31,35- მეორე სემესტრის ბოლო სესია; 4,35- მესამე სემესტრის ბოლო სესია;	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი;	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფილებს	მეტწილად აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად ვერ აკმაყოფილებს
აქვს ცოდნა ხელოვნებათმცოდნის ეთიკურ სტანდარტებზე					
აცნობიერებს ეთიკური და ზნეობრივი ნორმებით დადგენილი მოთხოვნების გამოყენების აუცილებლობას					
აცნობიერებს დარგში მიღებული განათლების სხვათა განვითარებაზე გამოყენების მნიშვნელობას					
აქვს უნარი გააცნობიეროს სოციალური და დემოკრატიული ფასეულობები					

სწავლის შედეგი C_2.

საკუთარი პასუხისმგებლობით, საკუთარი გემოვნებით და სურვილით შეუძლია კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება.

შეფასების ინდიკატორები:

1. ახდენს დამოუკიდებლად განვითარებაზე ზრუნვას
2. იცის გუნდური მუშაობის დადებითი მხარეები
3. აცნობიერებს დარგში მიღებული განათლების სხვათა განვითარებაზე გამოყენების მნიშვნელობას
4. პრაქტიკულად ახორციელებს ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას

სწავლის შედეგი	შეფასების მეთოდი	შეფასების დრო	სამიზნე ნიშნული
ს.შ. C_2 სილაბუსი: 13,30,31,33	პირდაპირი - კითხვა-პასუხის ფორმატი, პრეზენტაცია, წერითი დავალება, ქეისის ამოხსნა, როლური და სიტუაციური თამაშები, ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დისკუსია/დებატი,	33 - პირველი სემესტრის ბოლო სესია; 31, 35- მეორე სემესტრის ბოლო სესია; 4, 35- მესამე სემესტრის ბოლო სესია;	70-75 % დადებითი შეფასება
	არაპირდაპირი: სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი; დამსაქმებლების კითხვარი.	სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.	

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორი	შეფასების დონეები				
	სრულად აკმაყოფილებს	მეტწილად აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს	ნაწილობრივ აკმაყოფილებს	სრულად ვერ აკმაყოფილებს
ახდენს დამოუკიდებ-ლად განვითარებაზე ზრუნვას					
იცის გუნდური მუშაობის დადებითი მხარეები					
აცნობიერებს დარგში მიღებული განათლე-ბის სხვათა განვითარე-ბაზე გამოყენების მნიშვნელობას					
პრაქტიკულად ახორციელებს ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას					